ნ. კ. ბაიბაკოვმა სესიას მოახსენა, რომ 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებები. კერძოდ, გაიზარდა დანახარჯები წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის, რაც ხორციელდება არაენერგეტიკული კაპიტალური დაანდებების შემადგენლობაში ამ ფონდის სახსრების ხარჯზე.

სახელმწიფო ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ნაწილი უნდა მოახმარონ საწარმოებისა და გაერთიანებების დანახარჯების ფინანსებას მათი ტექნიკური განახლებისათვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის.

დეპუტატებმა სესიაზე დასვეს საკითხი, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ძირითადი და დამხმარე სამუშაოების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება. 1976 წლის გეგმით გათვალისწინებულია გაიზარდოს დიდმწარმოებელური მანქანების, ავტომატების და ნაკადური ხაზების, ავტომატიზებული აგრეგატების, ამწე-სატრანსპორტო, დატვირთვა-გადატვირთვისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებების წარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებებსა და დეპუტატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ცალკეულ სახეობათა საქონელზე ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა. სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა განაგრძონ მუშაობა სახალხო მოხმარების, საქონლის წარმოების გადიდების დამატებითი შესაძლებლობების ძიებისათვის.

შემდეგ ნ. კ. ბაიბაკოვმა უპასუხა მთელი რიგი დეპუტატების კითხვას კიევში, ლენინგრადსა და მოსკოვში მეტროპოლიტენების მშენებლობის დაჩქარების, კუიბიშევში მეტროს მშენებლობის შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი თვალისწინებს, რომ საჭიროა გაფართოვდეს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კადრების მომზადება, განსაკუთრებით მთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბელორუსიის სსრ შესაბამის სამინისტროებთან და მინისტრთა საბჭოსთან ერთად ამ საკითხებზე იმსჯელებს 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას.

დაისვა კარელიაში დამზადებული მერქნის უფრო რაციონალური გამოყენების, აგრეთვე — ხე-ტყის დამზადებისათვის საჭირო ტექნიკის ფართო წარმოების ორგანიზაციის საკითხი. ნ. კ. ბაიბაკოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის რეტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და ატომურმონტაჟსამშენებლობის სამინისტროს მონაწილეობით იმსჯელებს ამ საკითხზე და მიიღებს გადაწყვეტილებას.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში აღძრეს საკითხი, რომ გაფართოვდეს სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა ახალი ტიპობრივი პროექტებით. ამასთან დაკავშირებით ორატორმა აღნიშნა: 1976 წლის გეგმა ითვალისწინებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის მნიშვნელოვან გადიდებას. ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ამოცანა ის არის, რომ მთლიანად აითვისონ ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრები და არ დაუშვან საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა, როგორც ეს ხდება ხოლმე ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში.

მთელმა რიგმა დეპუტატებმა გამოთქვეს შეხვედრები საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების ჩაშორჩენის საკითხებზე და იმის შესახებ, რომ სიმძლავრეთა და საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მე-4 კვარტალის გეგმით.

სპოლოო სიტყვაში ორატორმა თქვა: იმის გამო, რომ ზოგიერთი სამშენებლო სამინისტრო ვერ ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დავალებებს და ამიტომ დაბალია მშენებარე საწარმოო ობიექტების ტექნიკური მზადყოფნა, დასაგეგმი წლის დამდეგისათვის ბევრი ობიექტისა და საცხოვრებელი სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემა იძულებული ვართ გადავიტანოთ მე-4 კვარტალში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განაგრძობს მუშაობას იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოს წლის განმავლობაში სამძლავრეთა უფრო თანაბარზომიერი ამოქმედება იმ გზით, რომ უკეთ შეუსაბამოს დავალებები და სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მატერიალურ რესურსებს, მოწყობილობასა და შესაძლებლობებს. მაგრამ ეს ბევრად არის დამოკიდებული სამინისტროებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სამშენებლო ორგანიზაციათა რიტმული მუშაობა და მოწყობილობის თანაბარზომიერი მიწოდება.

სესიაზე შეიტანეს წინადადებები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზეც. ბევრმა დეპუტატმა გამოთქვა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები სსრ კავშირის ცალკეული სამინისტროების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების მიმართ. სსრ კავშირის მთავრობის დავალებით ნ. კ. ბაიბაკოვმა განაცხადა, რომ ყველა წინადადებასა და შენიშვნას სახალხო-სამეურნეო გეგმის თაობაზე ყურადღებით განიხილავენ და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ამ სესიაზე 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის განხილვამ ცხადყო, რომ სახალხო მეურნეობაში არის ეკონომიკის შემდგომი ზრდის დიდი რეზერვები, თქვა დასასრულ ორატორმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით გეგმის შესრულების მსვლელობაში გამოავლენენ დამატებითს რეზერვებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და გამოიყენებენ მათ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, ამასთან გათვალისწინა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის სქემთა კომისიების შენიშვნებიც.

საბოლოო სიტყვა დღის წესრიგის მეორე საკითხზე — სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ვ. ფ. გრიბოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, თქვა მან, მთლიანად და ერთსულოვნად მოიწონეს კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებმა და სესიაზე გამოსულ ყველა დეპუტატმა.

ორატორმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად შეესაბამება პარტიის XXIV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაზე დასახულ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო მოსაზრებს თანამედროვე ეტაპზე ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ძირეულ საკითხებზე. ბიუჯეტი შედგენილია 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე და უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისა და სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ღონისძიებათა დაფინანსებას.

საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებმა შემოიტანეს წინადადებები, რომ შეიცვალოს სახალხო-სამეურნეო გეგმის ცალკეული მაჩვენებლები და ამასთან დაკავშირებით გადიდდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 130 მილიონი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადის ხარჯზე — 96,8 მილიონი მანეთით, სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების გადასახადის ხარჯზე — 29,9 მილიონი მანეთით და შესაკრებლებისა სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლის ხარჯზე — 3,3 მილიონ მანეთით.

საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებისა და დეპუტატების მიერ აღძრულ ყველა საკითხს, განაცხადა **ვ. თ. გრიბოვმა,** ყურადღებით განიხილავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და მოახსენებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები ეცნობებათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

1976 წლის თებერვალში გამართება საბჭოთა კავშირის მუნიციპალური პარტიის XXV ყრილობა. საბჭოთა ხალხი უდიდეს აღფრთოვანებით ეშზადება ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახვედრად: ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელძღვანელობით ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, თუ ხუთწლედის პირველი საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. 1976 წლის ხალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებ ახალ დიდ წვლილს შეიტანს ნეფეანანური კომუნისტური საზ... გადოების ამენების დიდებულ პროგრამის განხორციელებაში.

დეპუტატებმა პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად დამტკიცეს სსრ კავშირის 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ სესიამ განიხილა დღის წესრიგის შემდეგი პუნქტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ბ. პ. გიორგაძემ.**

უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო ამ საკითხზე კანონი და დადგენილებები.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. სესია დახურულად გამოცხადდა.

(საყდელი)

4 დეკემბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. სურათზე: დეპუტატები ხმას აძლევენ.

საკავშირო-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲖᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1975 წლის 7 ოქტომბერს და მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 4 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ

„სსრ კავშირში ერაყის რესპუბლიკის სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესრულების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულება „სსრ კავშირში ერაყის რესპუბლიკის სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესრულების წესის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 4 დეკემბერი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

1. არჩეულ იქნეს ამხ. გიორგი ივანეს-ძე **ᲑᲣᲨᲣᲔᲕᲘ** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად და დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 15 აგვისტოს დადგენილება ამ საკითხზე.

2. არჩეულ იქნეს ამხ. გალიმ ბაკიმის-ძე **ᲔᲚᲘᲛᲘᲡᲝᲕᲘ** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად.

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებულება ამხ. **გ. ბ. ᲔᲚᲘᲛᲘᲡᲝᲕᲘᲡ** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევისა და ამხ. **მ. ᲯᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 4 დეკემბერი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება:

1975 წლის 17 ივლისისა — ამხ. ვიქტორ ნიკოლოზის-ძე **ᲞᲝᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ** სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1975 წლის 6 აგვისტოსი—ამხ. ლევ მორდკის-ძე **ᲕᲝᲚᲝᲓᲐᲠᲡᲙᲘᲡ** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ;

1975 წლის 21 აგვისტოსი — ამხ. ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე **ᲒᲚᲣᲨᲙᲝᲕᲘᲡ** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1975 წლის 3 სექტემბრისა — ამხ. ნიკოლოზ დამიანეს-ძე **ᲐᲮᲣᲠᲪᲘᲔᲕᲘᲡ** ბენსაიში გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კავშირგამბმულობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1975 წლის 3 სექტემბრისა — ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე **ᲢᲐᲚᲘᲖᲘᲜᲘᲡ** სსრ კავშირის კავშირგამბმულობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 4 დეკემბერი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

1. არჩეულ იქნეს ამხ. ივანეს-ძე **ᲑᲣᲨᲣᲔᲕᲘ** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად და დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 15 აგვისტოს დადგენილება ამ საკითხზე.

2. არჩეულ იქნეს ამხ. გალიმ ბაკიმის-ძე **ᲔᲚᲘᲛᲘᲡᲝᲕᲘ** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად.

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებულება ამხ. **გ. ბ. ᲔᲚᲘᲛᲘᲡᲝᲕᲘᲡ** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევისა და ამხ. **მ. ᲯᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 4 დეკემბერი.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲙᲣᲕᲔᲘᲢᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო კუვეიტის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეიხი საბაჰ ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბაჰი, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, როგორც საბჭოთა კავშირის მოსაზრებათა ერთგული მეგობარი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს სსრ საბჭოთა კავშირისა და კუვეიტის ურთიერთობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების საკითხებზე. გამოითქვა კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-კუვეიტის ურთიერთობის განვითარების გამო, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ტერიტორიულობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთხეირიანობისა და ურთიერთსაკეთილდღეოს საფუძველზე თანამშრომლობის პრინციპებს.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ფუნქციონირებს ნაყოფიერად. განვითარდეს საბჭოთა კავშირ-კუვეიტის ურთიერთობა, გაფართოვდეს ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნიკური, კულტურული და სხვა დარგებში თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მსოფლიოში სულ უფრო მეტად უმერენ მხარს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ცნობის ხაზს.

კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიხმა საბაჰ-ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბაჰმა კუვეიტის მთავრობისა და კუვეიტელი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ამისათვის, რომ მხარს უჭერს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას კანონიერი უფლებებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვები.

(საკდესი).

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-784“

1975 ᲬᲚᲘᲡ 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაეშვა დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-784“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

ᲙᲣᲕᲔᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში ორდენები გადასცა პარტიულ მუშაკთა ჯგუფს.

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. გ. კებინს გადაეცა ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს medალი „ნამგალი და ურო“, ეს დიდი ჯილდო მას მიენიჭა კომუნისტური პარტიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70-ე წლისთავის გამო.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის ლენინის ორდენები მიიღეს სკკპ კიროვის სოფლო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. პ. ბესპალოვმა, სკკპ ალუფგის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. კანდრენკოვმა, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. თ. მედუნოვმა, სკკპ მურმანსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ნ. პტიცინმა.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და კუვეიტის სახელმწიფო საგარეო საქმეთა მინისტრმა საბაჰ ალ-აჰმედმა 3 დეკემბერს ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და კუვეიტის სახელმწიფოს კულტურული და მეცნიერული გაცვლის 1976-1977 წლების პროგრამას.

იმავე დღეს მეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით დამთავრდა ა. ა. გრომიკოს და საბაჰ ალ-აჰმედის მოლაპარაკება.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲙᲣᲕᲔᲘᲢᲘᲡ სახელმწიფო საგარეო საქმეთა მინისტრი შეიხი საბაჰ ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბაჰი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 4 დეკემბერს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა.

კუვეიტისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა საზეიმო მიტინგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა წაიკითხა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება საწარმოს მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივისადმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი. ვ. ვ. გრიშინმა გულთბილად მიულოცა ავტოქარხნელებს მათი შრომის მაღალი შეფასება, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ქარხნის დაჯილდოება.

მიტინგზე გამოსულებმა მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ყოველდღიური დახმარებისათვის, ყურადღებისა და ზრუნვისათვის და აღუთქვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეკეთ იმუშაონ.

საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკდესის კორ.).

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში ორდენები გადასცა პარტიულ მუშაკთა ჯგუფს.

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. გ. კებინს გადაეცა ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს medალი „ნამგალი და ურო“, ეს დიდი ჯილდო მას მიენიჭა კომუნისტური პარტიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70-ე წლისთავის გამო.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის ლენინის ორდენები მიიღეს სკკპ კიროვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. პ. ბესპალოვმა, სკკპ ალუფგის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. კანდრენკოვმა, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. თ. მედუნოვმა, სკკპ მურმანსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ნ. პტიცინმა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა საზეიმო მიტინგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა წაიკითხა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება საწარმოს მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივისადმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი. ვ. ვ. გრიშინმა გულთბილად მიულოცა ავტოქარხნელებს მათი შრომის მაღალი შეფასება, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ქარხნის დაჯილდოება.

მიტინგზე გამოსულებმა მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ყოველდღიური დახმარებისათვის, ყურადღებისა და ზრუნვისათვის და აღუთქვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეკეთ იმუშაონ.

საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკდესის კორ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი „მავნე ტრადიციათა და წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების საკითხებზე. თათბირზე მოწვეული იყვნენ პარტიის ქალაქ თბილისის რაიკომების მდივნები იდეოლოგიის დარგში და რესპუბლიკის პარტიის ზოგიერთი რაიკომის მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, უმაღლესი სასწავლებლების, პრესის. რადიოსა და ტელევიზიის, შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი თ. პ. ბუაჩიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თოქოჩაშვილი, საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ლ. ბატიაშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. ა. სობოლევი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. ი. ჩხეიძეშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლომაძანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. კ. ბეჭვაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი რ. ა. ჯაფარიძე, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ნ. ეგაძე.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს „მავნე ტრადიციათა და წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების კონკრეტული საკითხები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და დროულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, შეეხნენ ამოცანებს, რომლებიც პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სასწავლებლების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის წინაშე დგას ამ დადგენილების განხორციელებასთან მ. ი. პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ, მწერლებმა და კინემატოგრაფისტებმა, გამომცემლობებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მკვეთრად უნდა აიმაღლონ ამისათვის მუშაობის სფეროში, მათი ღონისძიებების ფართო გაფართოვნება სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად, კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედება შეთანხმებული საგაზეთო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისას.

ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები — ძმური დახმარება ყველა საქმეში და თანასწორობაში და მტკიცე გადაწყვეტილება — დაიცვან სოციალიზმის ისტორიული მონაპოვარი ყოველგვარი მტრული ხელყოფისაგან. ეს არის კავშირი მოძმე ხალხებისა, რომლებიც მზად არიან მხარდამხარ იარონ წინ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მაღალი იდეალების შესაბამისად ახალი საზოგადოების მშენებლობის არჩეული გზით. ხელშეკრულება მთელი თავისი შინაარსით შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების, მისი ძლიერების ზრდის ინტერესებს, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გიგანტური მუშაობა გასწიეს თავიანთ ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მტკიცე ადგილი დაიკავა სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, სამოდამდე დაუკავშირა მას თავისი ისტორიული ბედი. ეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების გენერალური მიმართულებაა, რომელიც განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციითაც. მას ვერას დააკლებენ გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი სპეკულაციურად რომ იყენებენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ლოზუნგებს, ცდილობენ უკუღმა დაბრუნონ ისტორიის ჩარხი. ჩაიფუშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმპერიალისტური ბლოკადა, კრახი განიცადა სხვადასხვა დოკტრინამ, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების დისკრიმინაციას.

ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელმა მსოფლიომ აღიარა, როგორც სუვერენული სრულუფლებიანი სოციალისტური სახელმწიფო, იგი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. მისი საზღვრები უზრუნველყოფილია ბოლო წლების მანძილზე დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა სისტემით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური ხალხის მონაპოვარი იცავს მოძმე საბჭოთა სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთელი ძალიერება. თავის მხრივ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აქტიური წვლილი შეაქვს მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესების დაცვაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

ყველა ეს მომენტი ორგანულ შემადგენელ ნაწილად შეერწყა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ ხელშეკრულებას. მასში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყანა ევროპის უშიშროებისა და ურთიერთანამშრომლობის ეტაპზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება. ეს ხელშეკრულება ეხმიანება ევროპის ხალხებს, ეხმიანება ევროპის ყველა ქვეყანას, ეხმიანება ამერიკის ხალხებს, ეხმიანება ყველა ქვეყანას, ეხმიანება ყველა ადამიანს, ვინც ოცნებობს ომის ბოროტებისგან, ომის საშინელებისგან, ომის ტანჯვისგან, ომის ცეცხლისგან, ომის ბოროტ

ახალი პასპორტი

1976 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა კავშირში იწყება საპასპორტო დოკუმენტების გამოცვლა. ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღონისძიებების დაწყებამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ. ტ. შუმილინმა საკდესის კორესპონდენტს უამბო, თუ როგორ მთავრდება პასპორტების გამოცვლისათვის მზადება:

□ □

უწინარეს ყოველისა, მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საპასპორტო სისტემის სრულყოფას. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა მოქალაქეების მიერ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

ახალი საპასპორტო სისტემის განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ ყველგან შემოღებული იქნება მთელი მოსახლეობისათვის ერთიანი პასპორტიზაციის წესი. ახლა პასპორტებს მისცემენ ყველა საბჭოთა მოქალაქეს, რომლებმაც 16 წლის ასაკს მიაღწიეს, სულ ერთია სად ცხოვრობენ და მუშაობენ ისინი. ამიერიდან ამ დოკუმენტს ეწოდება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის პასპორტი“.

მოსახლეობის მომავალმა პასპორტიზაციამ დიდი მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება მოითხოვა, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი ნიმუშის პასპორტების დაწესებულ ვადებში გაცემის შესაძლებლობას. „გოზნაკის“ ფაბრიკებმა მოკლე ვადაში დაამზადეს ახალი პასპორტების ბლანკები. მოსახლეობაში დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობაა ჩატარებული. გასაკუთრებული ყურადღება დეთმო საპასპორტო აპარატების უკეთ განლაგებას, მოქალაქეთა ხელოფი და კარგი მომსახურებისათვის პირობების შექმნას.

პასპორტების გამოცვლის დროს მოსახლეობის ზუსტ და ოპერატიულ მომსახურებაზე ბევრად არის დამოკიდებული მშრომელების მიერ სამუშაო დროის დაკარგვის შემცირება, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით დაწესებულია საპასპორტო აპარატების მუშაობის ზუსტი განრიგი. მუშებსა და მოსამსახურეებს ეკრძალებათ შესაძლებლობა პასპორტის საკითხები მინიმალური დროის დახარჯვით გადაჭრან. საპასპორტო განყოფილებათა დიდი უმრავლესობა გადაყვანილი იქნება მოსახლეობის მისაღებად ერთ-ერთ უქმე დღეს მუშაობაზე, ხოლო კვირაში სამ დღეს ისინი 20 საათამდე იმუშავებენ.

სულ ცოტა ხანი დარჩა ამ მომენტამდე, როცა საბჭოთა მოქალაქენი ახალი პასპორტის მიღებას დაიწყებენ. დოკუმენტების გაფორმებისათვის საჭიროა წარადგინონ განცხადება დაწესებული ფორმით, ძველი პასპორტი და ფოტოსურათები, ხოლო ამათ, ვინც პირველად იღებს პასპორტს, — დაბადების მოწმობა.

სურათების გადაღების, დოკუმენტების ჩაბარებისა და ახალი პასპორტების გაცემის კონკრეტულ ვადებს მოსახლეობაზე წინასწარ აცნობებენ. 1976 წელს პასპორტს ყველა მიიღებს, ვინაც 16 წელი შეუსრულდა, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი და მთელი რიგი სხვა კატეგორიის მოქალაქენი. გამოცვლის მომენტამდე ძალაში დარჩება წინანდელი გაცემული პასპორტები. ამასთან, პასპორტები, რომლებსაც მოქმედების ვადა 1975 წლის 1 იანვარს გაუვიდა, ძალაში რჩება მათი მოქმედების ვადის გაუგრძელებლად ახალი ნიმუშის პასპორტზე გადაცვლამდე, ანუ 1981 წლის 31 დეკემბრამდე.

პასპორტის მიღება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია, თქვა საუბრის დასასრულს ბ. ტ. შუმილინმა. ახალი პასპორტის მიღება დიდი მოვლენაა თვითეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ პასპორტები საზეიმო ვითარებაში გაიცემა. პასპორტების გაცემამ და გამოცვლამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი მოქალაქეობრივი მოვალეობის სიამაყის, დიდი შეგნების, მოქალაქეობრივი მოვალეობისა და საზოგადოების წინაშე ამ მოვალეობის შესრულებისათვის პირადი პასუხისმგებლობის ჩანერგვის.

ს. ა. ლარცულიანი

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პროფესორი, 1926 წლიდან სკკპ წევრი ხეით ალექსანდრეს-ძე ლარცულიანი.

ს. ლარცულიანი დაიბადა 1904 წლის 15 აგვისტოს ცაგერის რაიონის სოფელ ლარჩვალში. იგი 10 წლის ასაკში ჩაება შრომითს საქმიანობაში და ვაჭობის ასაკშივე ერთმანეთის შეუთავსა შრომა და სწავლა. ს. ლარცულიანმა 1932 წელს წარჩინებით დამთავრა ამიერკავკასიის 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი და სწავლა განაგრძო საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში, ფილოსოფიის სპეციალობით. ამასთანავე იგი სწავლას უთავსებდა აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას — იყო პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შტატგარეშე ინსტრუქტორი.

1939-1943 წლებში ს. ლარცულიანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ჯერ უფროსი მასწავლებელი, ხოლო შემდეგ — გამგე. 1964 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა. 1958 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრას ხელმძღვანელობდა, 1974 წლიდან კი ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პროფესორი იყო.

ს. ლარცულიანი სამნახევარი წელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად. ... ...